

# საერთაშორისო მისიებში მონაწილეობა



## კოსოვო 1999-2005. სამშვიდობო მისია „კოსოვოს ძალები“ KFOR

1999 წლის 31 აგვისტოს მცირე ინტენსივობის კონფლიქტებში სამხედრო ოპერაციათა მოსამზადებელი ცენტრიდან (კოჯორი) პირველი ქვედანაყოფი გაიგზავნა სამშვიდობო ოპერაციების მანდატით კოსოვოში, დასახლებულ პუნქტ მამუშაში თურქული ბატალიონის მანდატის ქვეშ („კოსოვოს ძალები“ KFOR). ოცეულის ზომის ქვედანაყოფის ძირითადი ამოცანა იყო უსაფრთხოების ოპერაციები და ადგილობრივი ეთნიკური უმცირესობების დაცვა. მიუხედავად იმისა, რომ იმ დროის ქართული შეიარაღებული ძალები საგრძნობლად ჩამორჩებოდა მაშინდელ საერთაშორისო სამხედრო სტანდარტებს, თურქეთის შეიარაღებული ძალების დახმარებით შესაძლებელი გახდა საქართველოს საერთაშორისო მისიებში მონაწილეობა.



ნატოს პირველივე სამშვიდობო მისიაში ჩართვა და მისი წარმატებით განხორციელება იყო ერთ-ერთი პირველი ნაბიჯი საქართველოს ევროატლანტიკურ სტრუქტურებისკენ სწრაფვისა. ნატოელ პატრნიორებთან ერთობლივი მუშაობის შედეგად ქვედანაყოფის მომზადების დონე იზრდებოდა და მასთან თავსებადი ხდებოდა, რამაც იმ დროისათვის საგრძნობლად გააუმჯობესა არა მარტო ქვედანაყოფის, არამედ ომგამოვლილი და დასუსტებული ქართული შეიარაღებული ძალების იმიჯი. ქვეყანა პირველად გახდა რეგიონალური უსაფრთხოების კონტრიბუტორი და მასში დიდი წვლილი ჩვენს ქვედანაყოფს მიუძღოდა.

სპეციალური დანიშნულების ბრიგადამ კოსოვოში მისია 2005 წელს, უდანაკარგოდ დაასრულა. აღსანიშნავია, რომ ქართველი მშვიდობისმყოფელის დღე 31 აგვისტოს აღინიშნება.



Good spirits: The Georgian contingent in KFOR are based at Mahmusa in MNB South.



## ერაყი 2003-2004. კოალიციური ძალები „ერაყის თავისუფლება“ OEF

2003 წელს სპეციალური დანიშნულების ბრიგადა იყო ერთ-ერთი პირველი ქართული ქვედანაყოფი, რომლის მებრძოლებიც სამედიცინო ჯგუფთან და საინჟინრო ოცეულთან ერთად ჩაერთვნენ ოპერაცია „ერაყის თავისუფლებაში“ (OEF) და მრავალეროვნულ კოალიციურ ძალებს შეუერთდნენ. ქ. ბეიჯიში დისლოცირებული ქვედანაყოფი მოქმედებდა ამერიკულ ქვედანაყოფთან ერთად და მისი ძირითადი ამოცანა იყო ბაზის დაცვა, პატრულირება, ჩხრეკა, საკონტროლო-გამშვები პუნქტის ოპერაციები და ესკორტირება.



## ავღანეთი 2014-2015. „საერთაშორისო უსაფრთხოების მხარდაჭერის ძალები“ ISAF

2014-2015 წლებში სპეციალური ოპერაციების ძალების შემადგენლობაში შედიოდა სამთო-სადაზვერვო ბატალიონი, რომელიც 2014 წელს ავღანეთში ნატოს ეგიდით მიმდინარე სამხედრო ოპერაციას შეუერთდა, რომელშიც ქართველი სამხედროები უკვე 2004 წლიდან იღებდნენ მონაწილეობას („საერთაშორისო უსაფრთხოების მხარდაჭერის ძალები“ ISAF). მიუხედავად ქვედანაყოფის სახელწოდებისა, მისიაში წასვლის წინ აღნიშნული ბატალიონის ძირითადი ბირთვი რეინჯერთა ბატალიონის პირადი შემადგენლობით დაკომპლექტდა. ბატალიონმა 1 თვის განმავლობაში აშშ-ის ქვედანაყოფებთან ერთად ინტენსიური გადასროლისწინა მომზადება გაიარა გერმანიის ქალაქ ჰოპენსფილდში, რის შემდეგაც 7 თვის განმავლობაში სამშვიდობო მისიით იმყოფებოდა ყანდაღარის საავიაციო ბაზაზე ამერიკული კონტიგენტის შემადგენლობაში. ქვედანაყოფის ძირითადი ამოცანა იყო როგორც საავიაციო ბაზის, ასევე მოწინავე ოპერატიული ბაზების (FOB) შიდა და გარე უსაფრთხოების დაცვა, კორდონი და პატრულირება. გარდა ამისა, ბატალიონის მებრძოლებმა სამხედრო დახმარების ფარგლებში ავღანური არმიის საარტილერიო ქვედანაყოფები მოამზადეს. ჩვენმა არტილერიისტებმა ავღანელ სამხედროებს შეასწავლეს საბჭოთა წარმოების D-30 ტიპის ჰაუბიცების საბრძოლო გამოყენება.



ბატალიონმა წარმატებით შეასრულა დასახული ამოცანა და 2015 წლის მაისში უდანაკარგოდ დაბრუნდა სამშობლოში.

სამთო-სადაზვერვო ბატალიონი ბოლო ქართული ქვედანაყოფი იყო, რომელმაც ISAF-ის მისიის ფარგლებში საბრძოლო დავალებები საქართველოს დროშის ქვეშ შეასრულა. მისიიდან დაბრუნების შემდეგ სამთო-სადაზვერვო ბატალიონი დაიშალა, ხოლო ბატალიონის პირადი შემადგენლობა სპეციალური ოპერაციების ძალების ქვედანაყოფებში გადანაწილდა.







**ავღანეთი 2017-2018. „მტკიცე მხარდაჭერის მისია“ RSM**

2017-2018 წლებში სპეციალური ოპერაციების ძალების რეინჯერების გაძლიერებული ასეული სამშვიდობო მისიით იმყოფებოდა ავღანეთის ქ. ქაბულში („მტკიცე მხარდაჭერის მისია“ RSM). ქვედანაყოფის ძირითად ამოცანას წარმოადგენდა ბაზის უსაფრთხოების უზრუნველყოფა, მისიის შტაბის დაცვა და საბრძოლო პატრულირება წითელ ზონაში.

საერთაშორისო სამშვიდობო ოპერაციებში მონაწილეობისას სპეციალური ოპერაციების ძალების სამხედრო მოსამსახურეებმა მაღალი საბრძოლო მომზადების დონე და ურთულესი ამოცანების შესრულების უნარი არაერთხელ დაადასტურეს, რითაც მნიშვნელოვნი წვლილი შეიტანეს უსაფრთხოების სფეროში საქართველოს, როგორც საიმედო მეკავშირის ქვეყნის სახელის დამკვიდრებაში.

**საერთაშორისო მისიების ჩამონათვალი**

მისია	ქვეყანა	წელი	ქვედანაყოფი
 „კოსოვოს ძალები“ KFOR	კოსოვო	1999 -2005	ოცეული (11 როტაცია)
 „ერაყის თავისუფლება“ OEF	ერაყი	2003 - 2004	ოცეული
 „საერთაშორისო უსაფრთხოების მხარდაჭერის ძალები“ ISAF	ავღანეთი	2014	სამთო-სადაზვერვო ბატალიონი
 „მტკიცე მხარდაჭერის მისია“ RSM	ავღანეთი	2017-2018	რეინჯერთა ბატალიონის გაძლიერებული ასეული